საიდ. №69239/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 118-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ღვალაძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, დ. ჭიჭინაძე, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა შპს „არქი"-ს სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 11 აპრილის №517/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „archi არქი" (საიდ. №69239/03) უარი ეთქვა 36-ე კლასის საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს „archi არქი" (საიდ. №69239/03) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „archi არქი" მსგავსია შპს „პრიზა"-ს სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „არჩი" (რეგ. №40591, თარიღი: 30.11.2007წ.), 36-ე კლასის მომსახურების მსგავსი ჩამონათვლისათვის. დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ქართული ანბანით დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა და საერთო ანბანით არსებობაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის. აქედან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშანს „archi არქი" უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი თამარ შედანია მოითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 11 აპრილის №517/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „archi არქი" (საიდ. №69239/03) უარი ეთქვა 36-ე კლასის საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე. აპელანტი მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოდ ეთქვა აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს უარი 36-ე კლასის საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე. აპელანტი მიიჩნევს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „archi არქი" (საიდ. №69239/03) არ არის მსგავსი შპს „პრიზა"-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „არჩი", მათ შორის მსგავსება არ აღინიშნება არც ჟღერადობის თვალსაზრისით და არც ბგერითი გამოხატულებით. აპელანტის განცხადებით, აღნიშნული ბგერები სხვადასხვანაირად წარმოითქმის და შესაბამისად ჟღერადობაც მათი წარმოთქმის დროს განსხვავებულია და აბსოლუტურად არ ქმნის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას.

ამასთან აპელანტი თვლის, რომ ვინაიდან აღნიშნული ნიშნები შეიცავს ქართული ანბანის ერთმანეთისაგან აბსოლიტურად განსხვავებულ ბგერებს „ჩ" და „ქ", მათი აღრევის და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნებს შორის განსხვავება მდგომარეობს ანბანშიც, კერძოდ კი, შპს „პრიზა"-ს სახელზე რეგსიტრირებული სასაქონლო ნიშანი „არჩი" მხოლოდ ქართულ ენაზე აღნიშნული სიტყვით გამოიხატება, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშანი „archi არქი" (საიდ. №69239/03) მოიცავს სიტყვის არა მხოლოდ ქართულ ენაზე გამოხატულებას, არამედ ამავე დროს ინგლისურენოვან სიტყვასაც „archi".

საქონლის იდენტურობასთან დაკავშირებით აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ შპს „პრიზა"-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულება ეხება სამშენებლო საქმიანობას, ამასვე მოწმობს სამეწარმეო რეესტრში მათ მიერ ჩაბარებული რეგისტრირებული წესდება. მათ საქმიანობას არ აქვს კავშირი ისეთ საქმიანობასთან, როგორიცაა დაზღვევა, ფინანსებთან დაკავშირებული საქმინაობა, ფულად-საკრედიტო ოპერაციები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები. ამ თვალსაზრისით აპელანტის განცხადებით შპს „პრიზა" ბაზარზე ცნობილ

კომპანიას არ წარმოადგენს. შპს „პრიზა” არ სთავაზობს ამ ტიპის მომსახურებას მომხმარებელს და იმის ალბათობა, რომ მომხმარებელი შეიძლება შეცდომაში შევიდეს თითქმის არ არსებობს.

შპს „არქი”-ს წარმომადგენელი ასევე აღნიშნავს, რომ განცხადებული ნიშნის მფლობელი კომპანიის შპს „არქი” სახელწოდება იდენტურია განცხადებული ნიშნისა. ასევე კომპანიის სარეკლამო რგოლები უკვე დიდი ხანია ტრიალებს სატელევიზიო სივრცეში და ინტერნეტში და იგი ფართო საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილი ნიშნის, რომელთანაც ასოცირდება ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა, ფულად-საკრედიტო ოპერაციები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები. ამასთან, აპელანტის წარმომადგენლის განცხადებით შპს „პრიზა”-ს სასაქონლო ნიშანი „არჩი” არც ჟღერადობით და არც თემატურად არ ეხმიანება კომპანიის სახელწოდებასა თუ საქმიანობას და გაუგებრად მიიჩნევს, თუ რატომ მოხდა შპს „პრიზა”-ს აღნიშნული ჟღერადობის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. ასევე აპელანტის მიერ ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია შპს „პრიზა”-ს შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად განცხადებული ნიშნის „archi არქი” 36-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 11 აპრილის №517/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „archi არქი” (საიდ. №69239/03) უარი ეთქვა 36-ე კლასის საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას და მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „archi არქი”

(საიდ. №69239/03) და დაპირისპირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „archi არქი" სიტყვიერი სასაქონლო ნიშანია, რომელიც შესრულებულია ლათინური და ქართული ანბანით და სულ ცხრა ასოსაგან შედგება, ლათინურად ჩაწერილი სიტყვა „archi" ხუთ ასოიანია, ხოლო ქართული ანბანით შესრულებული კი ოთხი ასოსაგან შედგება. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს „არჩი" იგი კომბინირებული ნიშანია და სიტყვიერი ელემენტის გარდა შეიცავს გამოსახულებას – თეთრ ფონზე პროფილში გამოსახულია ჩიტი, რომელიც თაღის ქვეშ არის მოქცეული. რაც ნიშნებს განსაკუთრებულ განმასხვავებლობას სძენს და მათი აღრევის ალბათობას ამცირებს. ამასთან, განცხადებული ნიშნისაგან განსხვავებით დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „არჩი" სტილიზებულად არის შესრულებული და ჩაწერილია მხოლოდ ქართული ანბანით. მიუხედავად განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების სიტყვიერ ელემენტებს შორის არსებული გარკვეული მსგავსებისა, აშკარად განსხვავებულია ნიშნების საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება და ამდენად ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოხდეს მათი ერთმანეთში აღრევა და მოხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

კოლეგია ასევე ყურადღებას ამახვილებს განცხადებული ნიშნის სემანტიკურ დატვირთვაზე. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950, რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა) თანახმად სიტყვა „არქი" (ბერძ. archi) აღნიშნავს „მთავარს"/„უფროსს", მაშინ როდესაც დაპირისპირებული ნიშანი „არჩი" ფანტაზიური ნიშანია და არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა არ გააჩნია. კოლეგია მიიჩნევს, რომ როდესაც ორი ნიშნისაგან ერთი-ერთი ფანტაზიურია, ხოლო მეორეს შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია, ისინი მარტივად დასამახსოვრებელია და მომხმარებელი უფრო იოლად ახერხებს მათ ერთმანეთისაგან განსხვავებას და ასეთ შემთხვევებში მომხმარებლის მხრიდან მათი ერთმანეთში აღრევის შესაძლებლობა კიდევ უფრო მცირდება.

ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური და სემანტიკური განსხვავების გათვალსიწინებით არ მოხდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა მწარმოებლის მიმართ და ნიშნების ერთმანეთში აღრევა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუქნტის „ბ" ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის 36-ე კლასის განცხადებული საქონლისათვის რეგისტრაციაზე უარის

თქმის საფუძველი და ამდენად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 11 აპრილის №517/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „archi არქი" (საიდ. №69239/03) უარი ეთქვა 36-ე კლასის საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე და განცხადებული ნიშანი „archi არქი" (საიდ. №69239/03) დარეგისტრირდეს ასევე 36-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „არქი"-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 11 აპრილის №517/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „archi არქი" (საიდ. №69239/03) უარი ეთქვა 36-ე კლასის საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.
3. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „archi არქი" (საიდ. №69239/03) დარეგისტრირდეს ასევე 36-ე კლასის განცხადებული საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვლის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. ღვალაძე
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	დ. ჭიჭინაძე